



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/6136-15

8 აპრილი, 2016 წელი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი,
მოსამართლეები - ნატალია ნაზლაიძე, ნათია გუჯაბიძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი - შპს „ფ.“, გ. ბ.

წარმომადგენელი - ბ. გ., გ. გ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის



ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, შპს „ფ.-ს“ და გ. ბ.-ს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და არ იქნა მიღებული განსახილველად (ს.ფ. 214-216).

აღნიშნულ განჩინებაზე 2015 წლის 21 დეკემბერს შპს „ფ.-ს“ 50% წილის მესაკუთრის, გ. ბ.-ს წარმომადგენლებმა, ბ. გ.-მ და გ. გ.-მ კერძო საჩივარი წარადგინეს და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის (საჩივრის) ხელახლა განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვეს (ს.ფ. 219-222).

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის, თუ სპეციალური ნორმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, **დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე**. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაჰბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით **დ. ბ.-ს** სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს „ფ.-ს“ **დ. ბ.-ს** სასარგებლოდ 85 665 აშშ დოლარისა (ეროვნული კურსით ლარის) და 4000 ლარის გადახდა დაეკისრა; შპს „ფ.-ს“ **დ. ბ.-ს** სასარგებლოდ ამ უკანასკნელის



მიერ სარჩელის უზრუნველყოფასა და სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 3050 ლარის ანაზღაურება დაეკისრა (ს.ფ. 127-129).

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე 2015 წლის 30 ნოემბერს შპს „ფ.-ს“ 50% წილის მესაკუთრემ, გ. ბ.-მ საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება მოითხოვა (ს.ფ. 140-144).

პირველი ინსტანციის სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო, ვინაიდან მიიჩნია, რომ იგი კანონით დადგენილი გასაჩივრების 10 დღიანი ვადის დარღვევით იქნა წარდგენილი (ს.ფ. 214-216).

პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმის შემდეგ გარემოებებს: განსახილველ საქმეში, მოსარჩელეა დ. ხ., ხოლო მოპასუხე შპს „ფ.“ (ს.ფ. 1-14). ამასთან, დ. ხ. შპს „ფ.-ს“ დირექტორია (ს.ფ. 17), შესაბამისად, წინამდებარე საქმეში მოპასუხისათვის გზავნილის (2015 წლის 14 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების) ჯეროვანი ჩაბარებისათვის იგი შპს „ფ.-ს“ 50 % წილის მესაკუთრეს, გ. ბ.-ს უნდა ჩაბარდეს. ამგვარი დასკვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველია გარემოება მასზედ, რომ როდესაც საწარმოს დირექტორი და მოსარჩელე ერთიდაიგივე პირია, ამ საწარმოს წარმომადგენლობას პარტნიორთა კრება ახორციელებს, თუ რაღა თქმა უნდა, სახეზე არ არის სამეთვალყურეო საბჭო. ვინაიდან მოპასუხე საწარმოს 50%-ის მესაკუთრე მოსარჩელე დ. ხ., ამიტომ გზავნილი საწარმოს მეორე პარტნიორს უნდა ჩაბარებოდა. ნიშანდობლივია, რომ გზავნილის ჩაბარების ვალდებულება მოსარჩელე, დ. ხ.-მ იკისრა (ს.ფ. 133) და 2015 წლის 20 ოქტომბერს შპს „ფ.-ს“ ბუღალტერს ჩააბარა (ს.ფ. 135), რაც არ შეიძლება სათანადო ჩაბარებად ჩაითვალოს, რომ არაფერი ითქვას თვით საფოსტო უფლებამოსილების განხორციელების ნაკლიან ლეგიტიმაციაზე. საქმის მასალებით დგინდება, რომ გ. ბ.-მ აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება 2015 წლის 24 ნოემბერს ჩაიბარა (ს.ფ. 137). მის მიერ საჩივარი კი 2015 წლის 30 ნოემბერს იქნა წარმოდგენილი (ს.ფ. 140). შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მის მიერ დაცულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი 10 დღიანი ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ და საქმე საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად იმავ სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 414-ე, 420-ე, 78 -ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. შპს „ფ.-ს“ 50% წილის მესაკუთრის, გ. ბ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;



2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ და საქმე 2015 წლის 30 ნოემბრის საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს;

3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზლაძე

ნათია გუჯაბიძე